GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 424/1
თარიღი: 26 12 2013 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№ 612689 „23 12 2013 წ

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)

დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

მის. თბილისი, რაზმაძის ქ. N15

მობ: 598 775404

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2013 წლის 10 დეკემბრის N685 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N595229; 12.12.2013) შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ფარგლებში დაიგეგმა ზრდა პროგრამული დაფინანსების (უფასო ფაკულტეტები) უზრუნველსაყოფად. შესაბამისად ქვეპროგრამისათვის „სახელმწიფო სასწავლო გრანტი" სავარაუდო ბიუჯეტად განისაზღვრა 57.6 მლნ ლარი. 2012 წლის ბოლოდან დაიწყო და 2013 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა მუშაობა პროგრამული დაფინანსების (უფასო ფაკულტეტები) ბენეფიციართა რაოდენობისა და საჭირო დაფინანსების მოცულობის დადგენის მიზნით. პროგრამის ფარგლებში თითოეული უნივერსიტეტის სუბსიდირების პარამეტრები განისაზღვრა 2012 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტების მიერ დარეგისტრირებული ადგილებისა და ამ ადგილებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის უფლებამინიჭებული აბიტურიენტების საერთო რაოდენობის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „2013-2014 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოცულობებისა და ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N66 დადგენილების შესაბამისად დაფინანსების მოცულობა 2013-2014 სასწავლო წლისათვის განისაზღვრა 22.8 მლნ ლარით, რაც 2012-2013 სასწავლო წელთან შედარებით 11.6 მლნ ლარით მეტია.

შესაბამისად ამ და სხვა ქვეპროგრამებში აკუმულირებული ზედმეტობა გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე (მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე), მათ შორის:

- პროგრამაზე „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 32 02 06), რომელიც გულისხმობს საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის, ასევე კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებისათვის ზოგადი განათლების მისაღებად საჭირო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას - 1.4 მლნ ლარი;
- პროგრამაზე „ზოგადი განათლების ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 32 02 12), რომელიც გულისხმობს საქართველოს მოსწავლეების ტრანსპორტირებას (ავტობუსით, მიკროავტობუსით) სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია - 3.4 მლნ ლარი;

ასევე, გაცნობებთ რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იგეგმება, ქვეპროგრამის „სახელმწიფო სასწავლო გრანტი" ფარგლებში (პროგრამული კოდი 32 04 04 01) გათვალისწინებული სახსრების სრულად ათვისება.

პატივისცემით,

ეკატერინე მაჩიტიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი მოადგილე

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.: (+995 32)2 31 89 40